

თად წარედგინება განსარჩევად სახელ-  
მწიფო რჩევასაო.

\* \*

რეალურ სასწავლებლების ბედის  
გაუმჯობესებას ვერ მოვესწროთ,  
გვეგონია.

რუსულ განათებაში იწერებოდა კი,  
განათლების სამინისტროში მოლაპა-  
რაკებააო, რომ მომავლის სასწავლო  
წლიდამ მიეცეს ნება რეალურ სას-  
წავლებლებში კურს დასრულებულთ  
სრულ-წლოვანების ატესტატის მისა-  
ღებად, კლასიკური გიმნაზიებში მხო-  
ლოდ ძველი ენებიდამ დაიჭირონ ეგ-  
ზამენი.

შველა ადვილად აღსნის, თუ რა  
შველადა ეს იმ აუარებელ ახალგაზ-  
ღობისათვის ჩვენი მხრისა, რომ არა  
ვთქვათ—მთელის რუსეთის ახალგაზ-  
ღობისათვისაო, რომელნიც რეალურ  
სასწავლებლებს იმითამ არჩივენ, რომ  
ძველი ენები აიცილონ თავიდან. ბა-  
ნა ბოლოს ერთი და იგივე არ გამო-  
დის: უძველეს ენებოდ ატესტატის მი-  
ღება მაინც არ სცილდებათ.

\* \*

მთხზაბათს, 2 თებერვალს, და-  
ნიშნულია შემდეგი კრება ქართული  
სამეცნიერო ტერმინების შესამუშა-  
ვებლად. ძრება იქნება იმავე ალაგას,  
დილის 11 საათზედ.

\* \*

შარსილამ გვეწერენ:  
„ბასულ 26 იანვარს ერთი ახალცი-  
ხელი ურია, სახელად ღაეით შიანუ-  
როვი ეპოვნა ვილაც სომხის ქალსა  
დამღერჩელი იმ ქუჩაში, სადაც იდგ-  
ნენ ერთად ამ ურის ხუთი ამხანაგი.  
შალს პოლიციისათვის შეეტყობინე-  
ბინა. ეს ამხანაგები დატუსაღებული  
არიან, რადგან ბრალდებთ ხსენებუ-  
ლის შიანუროვის დაღრჩობა... მაგ-

რამ ნამდვილი გარემოება საქმისა ჯერ  
არაიენ იცის.“

\* \*

წარსულს კვირას, 30 ამ თვეს ქარ-  
თული დრამატული დასისგან წარ-  
მოდგენილი იყო „მზის დახვედრა“,  
რომელმაც საკმაო საზოგადოება მო-  
იზიდა. პიესამ ვაიარა ჩვეულებრივ  
მხიარულად და სიცილით. შველანი  
კარგად თამაშობდნენ.

ბ. მოხვედრე მშვენიერად შეასრულა  
მოხუცებულის გლეხის როლი და  
თავის ცეკვით დაატკბო საზოგადო-  
ება.

\* \*

მომავალს ოთხშაბათს არის დანიშ-  
ნული ბ. ცაგარლის ბენეფისი. ითამა-  
შებენ ამისგანვე დაწერილს და ხალ-  
ხისგან მოწონებულს „დავ გინახავს,  
გვლად ნახავს“-ს, კომ. 3 მოქ. იქნება  
დივერტისმენტიც.

\* \*

ამ უკანასკნელს დღეებში ბლდა-  
ნელმა კადვ გვაჩვენა თავისი ღონე  
და ჭიდაობის ცოდნა. ბოდრუას  
ციკვში გამართა ჭიდაობა და ბლდა-  
ნელმა წააქცია ვილაცა სომეხი..

\* \*

რუსულ ოპერებზე როგორღაც  
გული აიკრუა საზოგადოებამ. თუ არ  
ბედნიერ დღეს თეატრს მულამ ცა-  
რიელს ხედავთ. ბ. შითაევი, თეატრის  
ანტრეპრენიორი, საგონობელს ზა-  
რალსა ნახავსო, ამბობენ, თუ ესე  
წავიდა მისი საქმეო...

\* \*

ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ  
იქაური საზოგადოება აპირებს რამდენ-  
იმე ქართული წარმოდგენების გამარ-  
თვას, „წერა-კითხვის საზოგადოებისა-  
გან“ გამართულს ბათუმის სკოლის  
დასახმარებლად.

\* \*

ბუღალაყრის ხეობიდან (მთიულე-

თი) გვატყობინებენ, რომ იქ ცრუ-  
მორწმუნეობა შეტად გავრცელებუ-  
ლია და იმათ განათლებასდ არაინა  
ზრუნავსო. ზოგიერთს ადგილებში,  
ეთომც ხატის მიწვევით, ქათამსა და  
კვერცხს არ სჭამენო და დღილის სი-  
ლარბე-კი სანოვავოს ბევრს არაფერს  
სძევენო.

\* \*

ბორის მახრის მსგებში ქურდობა  
ძრიელ-გავრცელდაო, გვეწერენ ამ  
მხრიდამ. ქურდებმა მოიგონეს ახალი  
ღონის-ძიება თავის ხელოვნების აღსას-  
რულებლად; შუალამისას წაუკიდებენ  
ხალმე სადგომს ცეცხლს, და როდეს-  
საც სოფელი დევნევა გასაქრობელად,  
ქურდები შევლენ ცარიელ სახლებში  
და იპარავენ, რაც დახვდებათ ნივთი  
თუ საქონელი. ამისთანა განიერული  
მოქმედება მოხდა ამ წინად ს. მსხლებ-  
შიო.

„დროების“ კორექტირება

მართლი, 27 იანვარს. მინდა ორი-  
ოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ „ძველის-  
ხეული კორექტირების“ და ბ.  
შანიევის შესახებ, რომელიც იყო  
დაწერილი 1882 წ. „დროების“ 195,  
207 №-ებში: ვინ არ უწყის რამ-  
დენ ნაირი ბოროტ-მოქმედებანი სუ-  
ფევნ პროვინციებში, ვინ არ უწყის  
აგრეთვე, თუ როგორ დევნულნი  
არიან კორექტირების ზოგიერ-  
თა ვაჟბატონებისაგან ბოროტ-მოქმე-  
დების გამოაშკარებისათვის; გამართ-  
ლების თავი არა აქვთ და ხმარობენ  
ხალმე იმისთანა საშუალებათ, რომ-  
ელნიც ამცირებენ კაცის ყველა  
ღირსებაებს. იგინი ხმარობენ თავის  
გასამართლებლად ორ საშუალებას:—  
ან ფიზიკურს ძალას, ანა და „გან-  
ტანაობას“. ამ პირველ საშუალება-

დაცადა და გაკვირვებით წამოიძახა:—  
აბამიე!.. ათერაი!..

— ბერდიუ, შენა? ჰკითხა ქალმა,  
რა ხმაზედ იცნო.

— ჰო მე ვარ, მაგრამ შენ აქ რაი  
გინდა, ათერაისი, რაი გინდა ამ შუა-  
ღამისას?

— მნები დავკარგე და იმათ დავე-  
ძებ.

— სვიმონი სადღაა, რომ ამ „უქ-  
მურის“ დროს შენ გამოუგზავნიხარ?

— შინ არა, საეპტრო ჰქონდა რა-  
იმე და ძაუგს წავიდა.

— ძაუგსა? რაღაცა ჩაფიქრებით და  
თითქმას რიდაცის გონებით იკითხა  
ბერდიამ და დაუმიტა:— როდის წავი-  
და?

— ღღესა.

— მაშაი რომ ძაუგს წავიდა, მო-  
ჯამაგირე ვანა იქ არ იყო, ეს რად არ  
გამოგზავნე?

— ისიც სტუფანწმინდამდინ ჩაჰყვა  
მამას და ხვალამდი ვერ ამოვა.

— ბედშაო! შეიბრალა ბერდიამ.—  
მარტოაი დაუგდინხართ!

— მრთის ღამით რაი მიშავს?

— არ გეშინიან?

— რაისი უნდა გეშინოდეს?.. ბზე-

ბი წამხდარია, ცხოთა კაცი ვერ მო-  
ვა და ჩვენებური-კი ჩემი ძმაა.

— მკ აგრეა, ღთის სიტყუა, მაგ-  
რამ რაი ვიცი, ავი კაცი ბევრია.

— ჩვენ-კი დავვეკეთა ცხელი  
ტყუი?.. ავ-კაცსაც ისე დაუხვდებით,  
როგორიც თავად არის.

— მკ, ჰო, ჰო! ძალუმ გულადობ  
და რომ მოსულიყო ვინმე, მგონია,  
გოდორში ჩამძვრალიყავ.

— აბა, ეხლა რაი ვსთქვა და რო-  
ცა მოვა ვინმე მაშინის ვაიგებ.

ამათი ლაპარაკი კარგა ხანს ვაგ-  
ძელდა, რადგანაც ათერა ქვანზედ ჩა-  
მოჯდა და ბერდიამ-კი ცხენი მიუშვა  
სადოვარზედ.

ღამე იყო მშვენიერი, ყუჩი და  
თბილი; მთვარეს კაშკაში გაუღიოდა  
და გამოჩაქრობს შუქს ნახად ითრ-  
თოლებდა. შვეილებს აეშვათ თავიან-  
თი სურნელება და სასიამოვნოდ ატკ-  
ბობდნენ კაცის ყნოსვას.

შველგან სიცოცხლე, ყველგან ბუ-  
ნების ძალა გამოიჩინდა თავს და მათს  
მაყურებელსაც მოაწყურებდა სიცოცხ-  
ლის გრძობას.

ათერა იყო ყმაწვილი და ლამაზი,  
ბერდიაც ვაჟკაცი და იმ ხანში, რო-

დესაც გული თანასწორ ძვირას ვერ  
ახერხებს, ხან წარმოუთქმელის სიჩ-  
ქარით გაუდის ძვა-ძუგი და ხან მო-  
უსვენრადა თრთის, როგორც მტრე-  
ლი ქორის კლანჭებში.

მრნიე მარტონი და უმოწოდ  
იყვნენ. მარტო მთვარე თითქმას გან-  
გებ წასაქვებლად ესროდა სხავეებს.  
რაღაცა გამოურკვეველი მოუსვენარი  
წადილი უმღელვარებდა. გულს და  
ალუშფოთებდა სისხლს.

იმათ ერთბაშად სიტყვა გაუწყდათ,  
გაჩუმდნენ და ერთმანერთს შესტკე-  
როდნენ, მაგრამ თითქმას ორთავ  
ეშინოდათ, რცხვენოდათ თუმცა-  
კი დანაშაული არა ჰქონდათ-რა.

მრნიე გრძობდნენ, რომ ამ ცქერით  
ედემის სიამოვნებას ეძლეოდნენ და  
ორნიე ცდილობდნენ თვალი მოე-  
შორებინათ, მაგრამ მეცადინეობა ამა-  
ოდ რჩებოდა განშორებაც უნდოდათ  
და გულის ცახცახით მოელოდნენ  
რომ ვინმე დაარღვევდა ამ იღუმალე-  
ბით საესე გაუჩიბასა.

რაოდენიმე ხანმა ასე გამოიარა, ასე  
უყურებდნენ ერთმანერთს, ბოლოს  
ორთავ მოულოდნელად თავები მოე-  
ხარათ და იმათ იგრძნეს ერთმანერ-

ზედ ბევრჯელ ყოფილა ნათქვამი/და  
დაწერილი. მხოლოდ შეიქმნა უკან-  
მელმაც ამ ბოლოც კი დაიწყო წიგნი  
ფენი ვასდგა, არ ყოფილა გამოაშკ-  
რებული. აი, საქმე რაში ვახლავთ:  
ძველის-ხევის კორექტირების ტმა—  
გამოაცხადა, რომ ბ. შანიევი, რომ-  
ელიც მოწვეულია ს. ძველის-ხევი  
თავად-აწარუბის მამულების გასა-  
მიჯნელად, თხოულობს მუშებს გლე-  
ხებისგან, თუმცა იგინი არ არიან მო-  
ვალენი, რადგანაც იმათი მამულები  
არ იმიჯნებიანო. იყო აგრეთვე გამო-  
ცხადებული იმას და სხვა ჩაფრების  
ბოროტ-მოქმედებებზედ და სხე.

შნდა დაუმატო მეც; ვერ შეუძ-  
ლიან კაცსა წარმოიდგინოს; თუ რომ  
გორ ექცევიან ესენი გლეხებს: დარ-  
ბევას, ცემა ტყუას უმიწვევად ყო-  
ველთვის ნახავთ სოფელში, როდესაც  
იგინი „ჩამოხეტებიან“, ხალმე ან  
უწყებთათა ან სხვა რამის მოსატანად.  
ამისთანა სურათის დანახავზედ, ვისაც  
კი კაცური გული შერჩენია, ხმას  
ამოიღებს, თუმცა ზოგნი დიდ დანა-  
შაულობად რაცხვენ ამ ხმის ამოღე-  
ბას. მრთხელ „გაგთხეველი კარეს-  
პონდენტია“, შესწრებოდა ჩაფრებს,  
რომელნიც თურმე უღმერთოდ სცემდ-  
ნენ გლეხებს დედლების და წითელი  
ღვინის დაგვიანებაზედ. მას ამისთანა  
მხეცურ ქცევებზედ ერთი ორი სიტყვა  
ეთქვა ჩაფრებისთვის. ეს ჩაფრებს არ  
მოსწონებოდათ და ბ. შანიევისაც დიდ  
წინააღმდეგობად სჩვენებოდა ჩაფრე-  
ბის შეურაცხყოფა. ბ. შანიევის, რომ  
თავი გაემართლებინა ბეჭედის საშუა-  
ლებით, რაც მასზედ იწერებოდა ქეშ-  
მარიტად, როგორც დამარწმუნეს აქა-  
ურმა გლეხებმა, შეადგინა თურმე ქა-  
ღალდი და გაეგზავნა, სადაც ბა-  
ტონმა შანიევმა იცის, რომ „გაგ-  
თას - ხევის კარესპონდენტი“ გაე-

თის სუნთქვა, რომელიც ცხელ ოშ-  
ხიერად სცემდა პირისახეზედ და თუმ-  
ცა ძალზედ სწვაედა, მაგრამ სასიამოე-  
ნოდ. ღვპერა მსუბუქმა ნივთმა და  
ათერას ნაწნავი გაშლილი მოხედა  
ბერდიას სახეს. იმან მწარედ დაიკვნე-  
სა იქამდინ ძრიელი გრძობა აღეძრა  
გულში; გაქრქოლდა, გაშალა მკლა-  
ვები და დაავიწყდა მთელი ქვეყანა...

მხოლოდ როდესაც გონს მოვიდა  
მაშინ შეიძლო ანგარიშის მიცემა, მა-  
შინ იგრძნო და დაინახა, რომ ათერა  
გულს ეკროდა, ჰკოცნიდა და მღუ-  
ღარე ცრემლები, ცრემლები ნეტარე-  
ბისა თვალთაგან გადმოსდიოდა.

ასე გამოცხადდა ამ ორის მთიელთ  
სიყვარული, რომელიც თუმცა წი-  
ნადვე ბეჭუტავდა, მაგრამ აქამდის არც  
ერთს არ გამოეთქვა, არ შეემცნევი-  
ნა ერთმანერთისთვის...

იმათ მისცეს ერთმანერთს ფაცი,  
რომ დაქორწილდებოდნენ და გასწიეს  
შინისკენ, რადგანაც ღამე თხებს მით  
უფრო ძნელად იპოვნიდნენ, რომ  
ახლო-მახლო არსადა სჩანდა და შორს  
სიარულის დრო აღარ იყო.

— აბალამ მეც თქვენსა წამოვალ?  
ღაკეთხა ბერდიამ, რომელ იც



ქვეყნისათ, არამც თუ ქათხიველია მთლად საქართველოდამაო.

პი კიდევ ახალი საშუალება კორესპონდენტების წინააღმდეგ ჩვენ პროვინციაში ფანდიეებისაგან შემოღებული.

სოსო ტანხეველი.

წერილი რედაქტორთან

ბატ. რედაქტორო! წასული წლის „დროების“ მე-257 ნომერში იყო მოყვანილი პატარა შენიშვნა მხურგეთიდან, რომ მე ვითომც მეღალატებინოს ავაზაკის ბოგია ჭყონისათვის, რომელსაც აბრალდებენ განსვენებულის ბურის ეპისკოპოსის ბაბრიელის გაცარცვას და ჩამებარებისას ეს უკანასკნელი ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის; მე-265 ნომერში თქვენზე გახეთისა დაწერილია მეორე შენიშვნა მხურგეთიდან, რომ მე ვითომც დავეჭვირო ადგილობრივ მთავრობას; ორივე შემთხვევაში ავტორი ამა შენიშვნებისა მიწოდებს მე დიდ ავაზაკად.

ჩემი სიბართლე და ამ შენიშვნების სიყალბე იმდენად აშკარაა ყველა ჩემი ნაცნობისათვის, რომ, იმედი მაქვს, ადვილად დავარღვიო მისი უსაფუძვლო და ყოველი პატიოსნებას მოკლებული აზრები, რომლითაც მან გამოინადირა ჩემგან. ბასული წლის პირველ დეკემბერს ბურის თავდაზნაურთა წინამძღოლმა თავად მარლამ მრისთავმა დაიჭირა ავაზაკი ბოგია ჭყონია, და არა ადგილობრივი ადმინისტრაციამ, რომელსაც თ. მარლამ მრისთავმა დაჭერის შემდეგ აცნობა ეს ამბავი. მით თ. მარლამ მრისთავი და ყველა მასთან მყოფი პარები, იმედია, მიმოწმებენ—რომ არაფითარი

რულით „ცას ასულიყო“.

— შენ იცი, მხრების აწვეით უბასუხა პთერამ და დაუმატა:—მეცა და ჩემი სახლიც შენი არაა?

მინი გავიდნენ შინ, გაანთეს ჩირალი, სჭამეს პური და გამოეთხოვენ ერთმანერთს, რომ ბერდია გარედ დაწოლილიყო, რადგანაც წესი არ იყო მარტო ქალთან უცხო კაცის დარჩენა და პთერას კი კარი მაგრად უნდა ჩაეკეტა...

პრ გაიარა ნახევარ საათმა, როდესაც მოისმა ზარების წკარა-წკურღი და ჩქარა სახლის კარებთან მოგრილდა ტროკა; სამი კაცი გადმოხტა და მიუბრუნდნენ ბერდიას, რომელიც იმათ მიეგება.

— სვიმონას სახლი ეს არის?

— დიად ეს განლაგსთ, მაგრამ პატრონი შინ არაა.

— რა უშავს, ჩანს დავლევთ და წავალთ?

ბევრი ელაპარაკა, ბევრი ელიჯინა ბერდია, მაგრამ მოსულეები ისე გულმოდგინედ ეხვეწებოდნენ, რომ მოხვევ სტუმართ-მოყვარეობამ დასძლია და კარი გააღებინა პთერას.

ცნობა არ მიმიცია მათთვის ამ ავაზაკის შესახებ, არცა მცოდნია მისი ენობა და ბინადრობა დაჭერამდის. შემდეგ მისი დაჭერისა თავად მ. დ—მა, რომელსაც რალაც საუბედუროდ არ მოვიდოდი თვალში ისე მოახდინა საქმე დაჭერილ ავაზაკ ჭყონისთან და ბათუმის ლუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელ თავად მრისთავთან, რომ მე დამაკავებს, სანამ ყველა ოინებს კარგად შეიტყობდნენ. და რაკი ყველაფერი გაიგეს, მეორე დღესვე შინ გამომიშვეს.

მე, ბ. რედაქტორო, ერთი იმ პირთაგან ვახლავარ, რომელთაც ხელი მოაწერეს თქვენგან ცნობილ საჩუგრებს ქვეყ. მთავარ-მმართველისადმი მისართმევად.

ძრიელ ხშირი ვახლავთ ჩვენში ამ ქამად ამ გვარი შურის-ძიება იმ პირთაგან, რომლებზედაც საზოგადოებამ საჩივარი შეიტანა თავ. დონდუკოე-პორსაკოვის აქ მყოფობის დროს და სხვა-და-სხვა თხოვნებზედ მათის მოქმედების გამო ხელი მოაწერეს...

მხურგეთის მასწავლებლის სწავლავად გადუბის მცხოვრები ახნაური. ქვეყისედექ ივანეს-ძე მასწავლექ.

ნარევი

გამოსანები

ზემო მართლში ს. ხცისში შეკრებილი.

1) ზევიდამა წამოვიდა კაბა-კუბით ჭრელასანი, სულ იმას გამოუდგეს ქვევითა და ცხენასანი.

2) შეგნიდამ აქრო, გარედამ ვერცხლი.

ახლად მოსულეები შევიდნენ სახლში; ორი იმათგანი იყვნენ აფიცრები, მესამეც „დენ შიკი“, რომელიც მოუდგა ბარგის შემოზიდვას, გახსნა სამგზავრო „მარანი“ და დადგა სამოვარი. სანამ სამოვარი მოდულდებოდა, სალდათმა ბატონებს მიართვა რომი, შამია, ზურგილი, ხიზილალა და სხვა. ბერდიამ კი შემოუტანა მშვენიერად მოზრავული ერბო-კვერცხი, რომელსაც პთერა განსაკუთრებით გემოვნებით აკეთებდა.

— შოჩალ, ყოჩალ! შეაქვს აფიცრებმა და მიაწოდეს მთელი სტაქანი რომი, რომელიც იმ ხანებში ბოთლი აბაზადა ფასობდა.

— ნურას უკაცრავად, თქვენაი ჭირაიმე!.. სახლის პატრონი არაა შინ, თორემ უკედ დავიხედებოდათ, მოიხალა ბოდიში ბერდიამ და რა გამოწვდილი რომით სავსე სტაქანი დაინახა თავის დაკვრით დაუმატა:—თქვენ მიირთვით, თქვენა, ჩემთვის რაისთვი ინარჯებით.

— დლიე, დლიე, არა უშავს-რა. ბერდიამ გამოართვა, მოიყუდა და ნახევრამდინ დალია.

— მჰ, ჰო, ჰო, ჰოი! ტურების მოწ-

3) ერთი სარტყელი მქონდა ვაპრე ვაპრე ვაპრე

4) გავალ, გავალ ცალივითა ხმას გავიღებ წაწივითა, გლეხმა კაცმა შემისასოს მარგალიტის თვალვითა.

5) რამე ბნელი, შიგ მონვერი მქვლად დასაბრუნებელი.

6) რამე შიბის თხა კავისებს, ხელში უჭირავს ნაიფიტი.

7) აი მალდა გორასუდა დათვი კუდითა აბას, გინც გავიღის, გაჭკვავს ხელსა თუ ანა ისეკ აბას.

8) ტყეში სარი შემოვიდა, გამო, გამო, გიშეწაო, გიშეწაო ან გამოვიდა, გამოვიდა ტიტკვალა.

9) ზატარა წიწვიტვალა ბატონის სავსარვალა.

10) ზატარა ცუგრუმელასა, ტუიადი თივა ჩამოჭკონდა.

11) აქედამ გავაგდე ისარი განჯას გავარდა ფიცარი.

12) ერთი თხა მყვანდა ლელაო ზურგზედ გაიკრა ენაო იმისი სიტყვა ზასუსი ქვეყანამ დაიჯერაო.

13) ერთი ხე ტურფად ნახარდი ტან წვრილი, მუცლად ნახარდი თავს რომ ცუცხლი მოკვადოს ან შეიქნება წყენითა.

14) უცხო სტუმარი ვაპრეა უცხოში, გაუცხოებულე რიქუნეშული ამას რა უნდა მივუთხოვთ... სუფრასე დაუდებელი, ამისი გამომცნებელი სულ ჭკუით აწის სამსენი.

18) დედამ დაწარდა შვილები წვრილ-წვრილნი, ზოგნი სხვილები, დაჯდა და თითონ შეჭმა სისხლში იღებს კბილები

- 1) სიტყვა, 2) კვერცხი. 3) გზა. 4) ცხვარი. 5) ხმალი. 6) მღვდელი. 7) ზანტა. 8) თხილი. 9) უხალთუნი. 10) სამართლებელი. 11) თოფი. 12) სასწორი. 13) ჩიბუხი. 14) პაგოვი. 15) დედაძიწა.

კერძო საავადმყოფო

კუიამი, სემინოვის ქუჩა, მხურგეთის სსსო.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დღით: 9 საათიდან 10 1/2-მდინ ნავსარტიანც—სირურგიულ და ვენეროულავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქაღის, უმაწვილის და შინაგანავადმყოფი; 10 1/2 საათიდან 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგანავადმყოფობისათვის. 12 საათიდან 1 საათ. თვალისავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასს და ოთხშაბათს გარდა, და რეინი ოთხშ. და კვირასს.

სალამოს: 5 საათიდან 7-მდინ უშაკოვი—უმაწვილების და ეელისავადმყოფობა. სამშაბათობით, სუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, შისნიურავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—პრუთინოვი მუდამ დღე და კანსულტანტად ბაბაევი\*) სამშაბათობით და შაბათობით.

\*) ბაბაევი მიიღებსავადმყოფებს 8 იანვრიდან.

ბ). იანვარში საავადმყოფოში გაისხნება წყლით სავსეი მოგანყოფილება ექ. ტელეფონის ხელმძღვანელობით.

მენდით წარმოსთქვა იმან:—ძალუმ მცხარე არაა!

— დლიე, დლიე, არა გიშავს-რა, უთხრა ერთმა აფიცრთაგანმა.

— პრაუ, შენი ჭირიმე, აღარ შემიძლიან.

— დლიე მეთქი გეუბნები, უფრო ბძანაბით სანამ თხოვნიო ჩასციებოდნენ მგზავრები.

ბერდია სასმელს თითქმის არა სვამდა, მაგრამ უარი ევდარ მოახერხა, თუმცა გრძობდა, რომ თვალეები უჭრელდებოდა და ყურებში რაღაცა ხმაურობა ესმოდა, მაინც დაცალა სტაქანი, მაგრამ თავს ბრუ დაეხვა და რაოდენიმე ხანს იქავე ჩაჯდა.

— არა გრცხვენინან? უთხრა აფიცრმა, როდესაც ბერდია წამოდგა. — როგორი ვაჟკაცი ხარ, რომ ერთს სტაქნით დაითვერ?

ბერდიამ იწყინა ეს სიტყვები და სასმელმა რაღაცა ვაჟკაცობის გამოჩენა მოასურვა.

— მინ დაითრო, მე? წარმოსთქვა იმან და გაუშვირა ხელი:— მოიტაკიდევ დავლიო, მოიტა... პა დედი ჩემი ლმერთსა!

— არა გეყოფა, შენ ეხლაც მთერა-

ლი ხარ, დასცინა ისე იმ უფროსმა.

— აბა მომეცით თუ მთერალი ვარ!.. მართი სტაქანი საით დამათრობს... მომეცით, მომეცით მეთქი გაჭირვეულა მოხვევ.

— დუსხი, უბძანეს ბიჭს, რომელმაც აასრულა ბატონის ბძანება, მაგრამ მაინც შენიშნა!

— არ მოკვდეს-კია?

— „შოია წყალს მიჭკონდარა და გზაც ის იყოო“. შენიშნა ბატონმა და დამშვიდებით გადისცა ულვაშებზედ ხელი.

ბერდიას თვალეები უჭრელდებოდა, მაგრამ გონება ჯერ არ დაეკარგა და თუმცა იმათი ლაპარაკი ეერ გაიგონა, მაგრამ მიხვდა რომ იმას შეეხებოდა. ბერდიას ეგონა, რომ უცხო ტომის ხალხი დასცინის და დასამტკიცებლად, რომ ის მთერალი არ იყო ერთ მოწაფუბაზედ გამოცალა მეორე ჩანს სტაქანი; მაგრამ ის მაშინვე წაბარბაცდა, შეხვდა, წაბარბაცდა, და გაიშალა შუა ადგილას, სადაც ძალზედ ხვრინვა მოსტეხა.

ა. მახსუბარძი.

(დასასრული შედეგში)

საზოგადო კონსულტაცია ექიმების  
სამს. - შაბათობით საღამოს 7 საათ.  
8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევასთვის—50 კაპ., კონ-  
სულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფა-  
სოდ.

საავადმყოფოში ექ. ნოვოსარტიანცი  
ღვას.

# ბანსხადეზანი

ბუილის მესხანის უკრავა

2333 სტ. X ტომ. 1 ნაწ. 1857  
წ. გამ. ძალით აცხადებს მოსპობას  
20 იანვარს 1881 წელს დადგენილის  
განჩინებისა, რომლითაც ამორჩეულ  
იქმნა მესხანების სტაროსტად ივანე  
შარუხოვი, ბ. ტფილისის ლუბერნა-  
ტორის დამტკიცებით, და რომელსაც  
მინდობალი ჰქონდა ვექილობა სასა-  
მართლო და ადმინისტრაციულ ადგი-  
ლებში საქმეების წარმოები საზოგა-  
დოებას ვექილობით.

(3—2)

## „იველი“

მართული სალიტერატურო და სა-  
პოლიტიკო ჟურნალი

1883 წელში

გამოვა იმევე პროგრამით, სიერციტ  
და მიმართულებით, როგორც აქამ-  
დის გამოდიოდა, და ახლის თანა-  
მშრომელების დახმარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ.,  
ნახევარ წლისა—4 მ. და 50 კ., სამი  
თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომ-  
რისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილის-  
ში—მხოლოდ რედაქციაში, ანდრე-  
ევსკის ქუჩაზე, № 14.

ბარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ  
დაიბარონ ჟურნალი ამ აღრცით:

Во Тифлисе. Во редакцію ирузинска-  
го журнала „Имеди“.

რედაქტორი და გამომცემი  
მის. გურგენაძე.

საჭირო ნივთები ავდრისგან, თო-  
ლისგან და სინცივისგან: მაკინტოშები  
(ავდარ ჩუხწყველი წამოსასხამები). კრა-  
გები, ცოცხები, ხაღისები, ღვის ფუ-  
ჭაიკები, შალის ხუჭები, დრაივი და  
სხვ.

ინგლისის მადანიაში, ანდრუნის ქარ-  
ვასლაში. (10—10)

დაიბუქდა და ისეილება გ. ჩარკვიანის  
ქართული წიგნის მადანიაში


დედა და შვილი

რაბდინიე ლემსი

თ. ილაა ჭავჭავაძის.

ზ. ჭიჭინაძისგან გამოცემული  
ფასი 15 კაპ.

### ინგლისური რძინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწო-  
ლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის  
ბალსით 5-დგან—9 მან. ინგლისურს  
მალაზიაში. იქვე ისეილება 25% იაფათ  
სასამ სსვგან სადმე: ჭურჭელი, დანა-  
ხანგალი, კოვსები, ფანდოსები, კლიტე-  
ები, საფანგები, რეინის კალმები, ქა-  
ლაღლი, ნიხები, რეკლავები, თოფე-  
ბი, კანისა და ქალის უნაგირები, ალბო-  
მები, კლეანგები, ჩიი 1-ღის სარისისა.  
(100—13)

### ახალი წიგნი

ისქილება შავრდოვის გაზეთის სა-  
ამანტოში, ბულვარზე

### შემოკლებული

სამართლო

## ისტორია

შედგენილი რომან ტანციევისგან.  
1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური,  
გაგზავნიან ოთხი აბაზა.

### ინგლისის მადანიაში

## თმის აპოკრიფი

ამაგრებს თმს და ადრინდელ  
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-  
პისა 2 მან., გავზავნიან 2 მან-  
ნეთი და 28 კაპ.  
(100—37)



## ნი მაკმასტერი

იქვე ისეილება ქინის ზომად  
თმების გასამაგრებლად. ფასი 1  
მან. სწოტკები თავის ტვინის  
მოსასპობლად, ტუალეტის სა-  
ზონი, დუხები და სხვ.

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი  
გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატე-  
ბული იაკობ გოგებაშვილისგან, დაიბუქდა ხმის ასამაღლებელი ნიშნე-  
ბით (съ ударениями) და ისეილება გამომცემლის ზაქარია შრიქურო-  
ვის წიგნის მადანიაში გუგის ხიდის უერთან. ფასი ათი შაური. ვინც  
იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლარსა, წიგნი  
დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც უღიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუ-  
მატოს სამი შაური. გრიჭოვრის მადანიაშივე ისეილება ყოველ გვარსა სა-  
სეუდმდგანელა ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქე-  
ბიდან და ადგილებიდან ყოველ გვარს დაბარებულებს მადანია ასრულებს  
დაუგვიანებლად.

ბუნების ძარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლა-  
სებში სასმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისგან, დაიბუქდა მეოთხე  
შეცვლილი გამოცემა და ისეილება გრიჭოვრის წიგნის მადანიაში, გუ-  
გის ხიდის უერთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო  
პირებს, რომელნიც იყიდის ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემ-  
პლარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლარი თათხმეტ შაურად;  
ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად.  
უღისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

ძარბა სამართლონი, მეორე შეცვებული გამოცემა; ისეილება  
იმავე მადანიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლარს იყიდის, კარტა  
მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლარის მიადევლს—ათს შაურად.

დაიბუქდა და ისეილება გ. ჩარკვიანის  
წიგნის მადანიაში.

### სალამური

№ 1.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისგან.  
ფასი 25 კაპ.

### ბამცია

საკვებზე სარგებელზე, რომელნიც  
იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუჭ-  
ნებში და დატარებულთ 16 იანვრიდან  
1 თებერვლამდე.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

- პირველის ხარისხის—1 გირ. 5 კ.
- მეორის „ —1 გირ. 3 1/2
- მესამის „ —1 გირ. —

იმევე ფქვილ. თორნიში გამომცხვარი:

- პირველის ხარისხის—1 გირ. 5 კ.
- მეორის „ —1 გირ. 4 კ.

ჭვარის-მამის პური:

- პირველ ხარისხში 1 გირ. 5 კ.
- მეორის „ —1 გირ. 4 1/2
- მესამის „ —1 გირ. 4 კ.

ძროხის ხორცი:

- პირველის ხარისხის —1 გირ. 10 კ.
- მეორის „ —1 გირ. 9 კ.
- სუკი — — —1 გირ. 16 კ.
- სხვების ხორცი 1 გირ. 10 კ.

ღორის ხორცი:

- პირველი ხარისხის —1 გირ. 10 კ.
- მეორის „ —1 გირ. —

### ინგლისის მადანიაში

ფლვის ბალახი. ფულაქის მადანიაში.  
ვინც იყიდის ერთ დ ეტ შეკვრას (9  
ფუთამდე) დაეთმობა 2 მ. 20 კ. ფუ-  
თი.

იქვე: ფანრები—30 კ-დამ, საჩაიე-  
ბი—35 კ., 100 ნემსი—8 კ., პატაუ-  
კი—20 კ., კანფეთები, პარაშოკი (ბო-  
რას) თეთრეულის სარეცხავად, საე-  
ქიმა ქალაღლი ვატერ-კლოზეტისა-  
თვის, თაფლის სანთლები 32 კ. ინგლ.  
გირე, მაკინტოშები 6 მანეთიდან და  
სხვ. და სხვ. (10—10)

### ინგლისის

## მალაზია

Maison de confiance

შეადრეო ნენი ნა—1 მ. 10 კ. პოკოვის ნაბ—1 მ. 40 კ.

- — —1—20 — —1—60
- — —1—40 — —1—80
- — —1—60 — —2—
- — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისეილება სხვა საქონელოც:  
თოფები, რეგოლეგები, კრაოტები,  
ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, და-  
ნები, კოვზები, ტაშტები, კალმები,  
ქალაღლი, შოკოლადი, კაკო, კანფე-  
ტები, მურაბები, მაგენზია, უნაგირე-  
ბი, კლეიონკა, წინდები—კაცის და  
ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ  
კალენკორი—სულ ყველაფერი 25,  
დამ 50 პროცენტით უფრო იაფად-  
ვიღრე სხვა რომელსამე მალაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-  
დამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გა-  
მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ  
იხდის. (100—32)

открыта подписка

на газету

## ТЕРЕКЪ

на 1883 годъ.

Расширяя съ новаго года про-  
грамму газеты и увеличивая ея раз-  
мѣръ, редакция „Терека“ имѣть  
въ виду обратить особенное внима-  
нiе на вопросы мѣстной Кавказской  
жизни и ознакомить своихъ читате-  
лей съ сложившимися и слагающи-  
мися въ нашемъ краѣ обществен-  
ными, правовыми и экономически-  
ми отношенiями, а также съ нуж-  
дами, нравами и обычаями племенъ,  
населяющихъ этотъ обширный, но  
мало изслѣдованный край.

Газета будетъ выходить три раза  
въ недѣлю.

Годовая плата съ пересылкою по  
почтѣ:

На годъ 7 р.; на полгода 4 р.;  
на 3 мѣс. 2 р. 50 к.; на 1 мѣс.  
1 руб.

Подписка принимается въ редак-  
ции „Терека“ во Владикавказѣ.

Разсрочка подписной годовой пла-  
ты допускается: при подпискѣ 3 р.,  
въ апрѣлѣ 2 р., въ августѣ 2 р.

Редакторъ Ин. Вери.